



# უნივერსიტეტი



ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №1 (8) 2012

თსუ მეცნიერება  
TSU Science



## „თსუ მეცნიერება“ ქურნალი ყველასთვის, ვისაც მეცნიერება აინტერესებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორშაბათს სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის – „თსუ მეცნიერება“ პირველი ნომრის პრეზენტაცია გაიმართა. ჟურნალი „თსუ მეცნიერება“ ორენოვანია. ესაა ბოლო წლებში გამოცემული პირველი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, რომელიც ქართულად და ინგლისურად, პოპულარულ ენაზე გვიაშობს საქართველოში, კერძოდ თსუ-ში მიმდინარე საერთაშორისო მნიშვნელობის კვლევების შესახებ – სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებით. პრეზენტაციას თსუ-ის რექტორი ალექსანდრე კვიციანიძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, სამეცნიერო

წრეების წარმომადგენლები და პარლამენტის წევრები დაესწრნენ. „იყო პირველი უნივერსიტეტის საქართველოში და კავკასიაში, დიდი პასუხისმგებლობაა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაარსების დღიდან – 1918 წლიდან ასრულებდა არა მხოლოდ სასწავლო, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრის ფუნქციას რეგიონში. თსუ ამ გრადიციის ღირსეულად გაგრძელებას ცდილობს და ძალისხმევას არ ზოგავს ამისთვის. დღეს უნივერსიტეტი ახალი გამოწვევის წინაშეც ვდგას – გრადიციის შენარჩუნებასთან ერთად, უნდა გაუძლოს XXI საუკუნის მოთხოვნებს, იყოს

ბაზრპელება მ-2 გვ.

## მსოფლიოს ქვეყნების აუდიტორიები თსუ-ში – ისრაელი



თსუ-ის ისრაელის ცენტრის ეგიდით სს-ტემატურად გამოიცემა აკადემიური ხასიათის კრებული, რომელშიც ისრაელის კულტურის და ისტორიის საკითხები შექცდება.


გვ. 3

## ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვიზაობის საკითხები

ისტორიული ქართლის მოსახლეობა უძველესი დროიდან დღემდე, ამ რეგიონის მოსახლეობის ეთნიკური სურათის დინამიკა ხუთი ათასი წლის მანძილზე სხვადასხვა დარგის მეცნიერთა კომპლექსური კვლევის საფუძველზე შეისწავლეს თსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა. სამწლიანი მუშაობის შედეგად გამოიცა მონოგრაფია „ქართლის მოსახლეობის ეთნიკური ვიზაობის საკითხები და ანთროპოლოგიური ტიპის ცვალებადობა ძვ.წ. III ათასწლეულიდან XX საუკუნის ჩათვლით“. ამ წიგნის პრეზენტაცია შედგა თსუ-ში, რომელსაც ამ თემატიკით დაინტერესებული მეცნიერები და სტუდენტები დასწრნენ. ნაშრომი შოთა რუსთაველის ფონდმა დააფინანსა. პროექტში მონაწილეობდნენ ანთროპოლოგები – ლიანა ბითაძე და შორენა ლალიაშვილი, ეთნოლოგი – დავით ჭითანავა, პალეოლოგი – ელისო ყვავაძე, დემოგრაფი – თამაზ მუხიანაშვილი.

ლინოლოგიური, ისტორიული წყაროების საფუძველზე საკმაოდ დიდი პერიოდის მანძილზე; ამავე დროს, კვლევა გაცხდა ქართლის გერეგორიას და მთლიანად საქართველო და კავკასია მოიცავდა. ნაშრომი ემყარება მდიდარ მასალას, რომელიც დაცულია ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიაში და ასევე მოპოვებულია ექსპედიციის დროს ქართლის სამ რეგიონში (ბრილი-ხაშურის რ-ნი, განძია – ბოლნისის რ-ნი, გყვიაი – გორის რ-ნი). საველე სამუშაოები 2009-2011 წლებში მიმდინარეობდა. გარდა ამისა, ჩართულია მტკვარ-არაქსის კრანოლოგიური სერიები, რომელიც პირველად სამეცნიერო კვლევის თბილქი სწორედ ამ წიგნის მეშვეობით გახდა. ამასთან, განხილულია ქართლის რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიული განვითარება. ნაშრომის თანაავტორის თქმით, შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციისა და გაანგარიშებების საფუძველზე, შესწავლილია შიდა და ქვემო ქართლის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და განსახლება, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, სიცოცხლის ხანგრძლივობა და დაბერება,

ბაზრპელება მ-4 გვ.



თისელის სერი, მტკვარ-არაქსის კულტურული ფენა. კულტურული ვაზის (1-8), ხორბლის (9-11; 17-19) და ქერის (12,13) მცერის მარცვლები

## კანის ღაცვა ულტრაიისფერი ბამოსხივიებისგან

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსგ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ბიოის-ტექნოლოგიის რადიოსპექტროსკოპიის ლაბორატორიაში ეფექტიანი ანგელოქსიდანტების მოძიების მიზნით კვლევები უკვე ორი წელია მიმდინარეობს.

გვ. 2

## თეატრი „სხვენა“



თსუ-ის თეატრალური დასი „სხვენა“ პრემიერისთვის ემზადება, რომელიც განახლებულ პირველ კორპუსში შედგება.

გვ. 4

## თსუ-ის გუნდი ფუტსალის ჩემპიონია



2011 წლის 17 დეკემბერს გაიმართა თბილისის ლია ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა ფუტსალში (Friendly Cup), სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა საქართველოს ჩემპიონი და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი „იბერია სტარის“ წინააღმდეგ შესანიშნავად იასპარეხა და გურნიის ჩემპიონი გახდა.

გვ. 4

## გოლოგობიის მუზეუმი თსუ-ში



„2010 წლის 30 ივლისს აქ ვიყავი, ერთი ჩვეულებრივი, საბავშვო უნივერსიტეტელი ნინი კვიციანიძე, რომელსაც ისე მოეწონა ეს მუზეუმი, რომ მჯერა, ნამდვილად დადგინდები უკვე შესასწავლად და დასაკვირვებლად. თქვენმა მუზეუმმა ჩემი აღფრთოვანება გამოიწვია“;

„მოლოლოგიის მუზეუმის დათვალიერების შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს აქვს შანსი, მეცნიერება განვითარდეს“; – ამგვარი ფრაზები თსუ-ის მოლოლოგიის მუზეუმის შთაბეჭდილების წიგნში მრავლად მოიპოვება. მუზეუმი, რომელიც ცოცხალი ხანში საუკუნოვან ისტორიას დაითვლის და რომელსაც თავის დროზე სასწავლო-სამეცნიერო დანიშნულება ჰქონდა, უნიკალურია საქართველოში. თუმცა, სამწუხაროდ, მისი არსებობა ჯერ კიდევ ბევრმა არც იცის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის XI (ბიოლოგიის) კორპუსში განთავსებული მოლოლოგიის მუზეუმში ფიგურის, ჩონჩხის თუ სხვა სახით ცხოველის, ფრინველის, მწერის, ქვეწარმავლის და საერთოდ, ფაუნის თითქმის ყველა სახეობის 5000-ზე მეტი ექსპონატი დაცულია. მუზეუმი ყოველთვის ღიაა როგორც თსუ-ის სტუდენტებისთვის და მოსწავლეებისთვის, ასევე ნებისმიერი დამთვალიერებლისთვის.

ბაზრპელება მ-3 გვ.



# „ოსუ მენიერება“

## ქურნალი ყველასთვის, ვისაც მენიერება აინტერესებს

პირველი გვერდიდან

კონკურენტუნარიანი საერთაშორისო სამეცნიერო ბაზარზე. აქ კი სამეცნიერო პროდუქტის ხარისხს განსაზღვრავს არა მხოლოდ მკვლევარის ნიჭი და შესაძლებლობები, არამედ ბევრი სხვა ფაქტორიც. დამკვიდრებული სტრატეგიების თანახმად, ახალი სტანდარტები საქართველოს მსგავს პატარა ქვეყნებს სამეცნიერო წარმატებების მიღმა გოვებს. თუმცა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო პროექტები ამ სტრატეგიებს ამსხვრევს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ფართო საზოგადოებამ მეტი უნდა იცოდეს მათ შესახებ. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ჩვენი ახალი წამოწყება – ორენოვანი სამეცნიერო-პოპულარული ქურნალი „ოსუ მენიერება“. – ამბობს ოსუ-ის რექტორი ქურნალის შესავალ სიტყვაში.



ოსუ-ის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის გიორგი დვალაშვილის ინფორმაციით: ოსუ-ში ამჟამად 200-ზე მეტი სამეცნიერო პროექტი ხორციელდება, მათ შორის – 148 ეროვნული, 85 – საერთაშორისო. 2011 წელს უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან სამეცნიერო კვლევებზე გათვალისწინებულია 14 054 746 ლარი (ბიუჯეტის 29%); მათ შორის, საერთაშორისო და ეროვნული ფონდებიდან მოზიდულია 4 154 104 ლარი (ბიუჯეტის 9%). ISI Web of Knowledge-ის მონაცემებით, 2009 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან იმპაქტ-ფაქტორის მქონე ქურნალში გამოქვეყნდა 105 სტატია, 2010 წელს – 145. გიორგი

დვალაშვილი ამბობს, რომ ქურნალმა „ოსუ მენიერება“ ამ სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაციას მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს. ქურნალის „ოსუ მენიერება“ პირველი ნომერი ფართო მინიარსისა და მოიცავს ინფორმაციას მეცნიერების განსხვავებული დარგების შესახებ: მაგალითად, ქურნალში საუბარია ქართული მეცნიერების მიერ შექმნილ ახალი ტიპის მშის კონცენტრატორზე, რომელიც მსოფლიო ბანკის ფორუმზე 2011 წელს 750 საერთაშორისო პროექტიდან საუკეთესო 50-ეულში და საუკეთესო 20-ეულში შევიდა; აქ გაიცნობთ საწარმოო ნარჩენებისა და მეორადი ნელეულის გადამამუშავების მეთოდებს, რომლებიც დაინტერესება სა-

ერთაშორისო სამეცნიერო არენაზეც მოიპოვეს; ქართველ მეცნიერთა წვლილზე CERN-ის (ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის) კვლევებში; ქართული ღვინის უნიკალურ თვისებებზე; ასევე ქურნალიდან შეიგებოთ, რომ „ვეფხისტყაოსანი, როგორც სიუჟეტური წყარო, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში გამოუყენებიათ ინგლისში, შექსპირის თეატრში; გაიგებთ ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ გრაციან გორზე, სვანეთში, კახეთში – ფშანში; ქურნალში ნახავთ კვლევებს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებებიდანაც, მაგალითად გაიგებთ იმამე, თუ როგორ განსაზღვრავს საკუთარ ნაციონალურ-ეთნიკურ იდენტობას საქართველოში მცხოვრები ერების

წარმომადგენლები; რა ტიპის ეთნო-გერონტოლოგიური საფრთხეები ემუქრება ქვეყნს და რა უნდა ვიცოდეთ მეზობელი ახლი აღმოსავლეთის შესახებ; ასევე ქურნალში საუბარია მედიაციის პირველ გამოცდილებაზე საქართველოში, რომელიც, სხვათა შორის – 2011 წლის ბოლოს მიღებული მედიაციის კანონისთვის საინტერესო ექსპერიმენტული და სამეცნიერო საფუძველი შეიძლება იყოს. ქურნალში ასევე გამოქვეყნებულია სტატია პოსტ-საბჭოთა სივრცეში პირველ კვლევაზე თავის გვინის პირველადი სიმსივნეების ეპიდემიოლოგიასთან დაკავშირებით, რომელსაც ოსუ-ის ნევიროლოგიისა და ნეიროქირურგიის დეპარტამენტი ახორციელებს; ასევე აქ გაიგებთ პასუხს, თუ რაგომ არ მოხდა შიღის ვირუსის ეპიდემიოლოგიური აფეთქება და რა ტიპის შიღის ვირუსია გავრცელებული საქართველოში; გაეცნობით ეკონომიკური კვლევების სიახლეებს და ა.შ. ქურნალი „ოსუ მენიერება“ წელიწადში ორჯერ გამოვა და მასში საქართველოში, ოსუ-ში მიმდინარე იმ უახლესი სამეცნიერო კვლევების შესახებ იქნება საუბარი, რომლებიც უკვე მოიპოვეს საერთაშორისო აღიარებას; მიღებული აქვთ სამეცნიერო გრანტები, მათ შესახებ გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ქურნალებში, გაკეთებულია მოხსენებები საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე.

### კვლევა

## კანის ღაცვა ულტრაიისფერი გამოსხივებისგან

ყველას შეგვიძინებია, თუ რამდენხანს დავიღალდებოდა ირუკება ზოგი ჩვენგანი მზეზე, მაშინ, როცა სხვას სასურველი ნამუშური დიდი მცდელობის მიუხედავად, შეიძლება, არ ეღიროს. ამგვარი „უსამართლობის“ ერთ-ერთი მიზეზი თვითონ ადამიანის კანია, რომელიც მასში შემავალი მელანინის ფიგურების შესაბამისად, შეფერვლობის მიხედვით ხუთ ტიპად იყოფა. მელანინები პიგმენტებია, რომლებიც კანს, თმას, თვალებს სხვადასხვა შეფერვლობას აძლევენ. კანის მუქ და თმის შავ ან წაბლისფერ შეფერვლობას ეუმელანინის სიჭარბე განაპირობებს. კანის ღია, თმის ქერა და ქალაქ ფერს კი უკვე – ფომელანინის დიდი რაოდენობა.

გარუკავა ადამიანის ორგანიზმის მშის ულტრაიისფერი სხივების მავნე გემოქმედებისგან დამცავი საპასუხო რეაქციაა, თუ ეუმელანინი დასხივებისგან კანის დაცვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ფომელანინმა პირიქით, შეიძლება ულტრაიისფერი და ხილული გამოსხივების უარყოფითი მოქმედება ადამიანის კანზე უფრო გააძლიეროს.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსკ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოსისტემების

რადიოსპექტროსკოპიის ლაბორატორიაში ეფექტიანი ანტიოქსიდანტების მოძიების მიზნით კვლევები უკვე ორი წელია მიმდინარეობს.

„ულტრაიისფერი და ხილული სხივების (სინათლის) გემოქმედებით ადამიანის კანში წარმოიქმნებიან ე.წ. თავისუფალი რადიკალები, რომლებიც თავიდან გემოქმედებას ახდენენ კანის უჯრედებზე და შეიძლება კანის ბევრი სერიოზული დაავადება გამოიწვიონ. მათ შორისაა, ეგზემები, ფსორიაზი, ვიტილიგო და კანის უაღრესად საშიში ონკოლოგიური დაავადება – მელანომა. ამიტომ თავისუფალი რადიკალების გასანეიტრალებლად და კანის დასაცავად ხშირად იყენებენ ნივთიერებებს, ე.წ. ანტიოქსიდანტებს. განსაკუთრებით ხშირად გამოიყენება ბუნებრივი ანტიოქსიდანტები, რომლებსაც გამოყოფენ სხვადასხვა მეცნიერებები, ბოსტნეულიდან და ხილიდან. ამ ნივთიერებებს აქვთ უნარი, განეიტრალონ თავისუფალი რადიკალები ასეთია: ვიტამინი E – ტოკოფეროლი, ვიტამინი C, ასკორბინის მჟავა, გლუტათიონი და ა.შ.“ – აცხადებს ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ელუარდ ჩიკვაძე, რომელიც ოსუ-ის ლაბორატორიაში ამ კვლევაზე მუშაობს.

ოსუ-ის ბიოსისტემების რადიოსპექტროსკოპიის ლაბორატორიაში ამ კვლევისთვის ელექტრონული მაგნიტური სპექტროსკოპიის (ეპრ) მეთოდი გამოიყენება. ელუარდ

ჩიკვაძის განმარტებით, ეს მეთოდი საშუალებას იძლევა დადგინდეს სხვადასხვა ანტიოქსიდანტის ეფექტიანობა, როგორც გარეგანი დასხივებისას ორგანიზმში წარმოქმნილი თავისუფალი რადიკალების მიმართ, ისე ორგანიზმში მიმდინარე მეტაბოლური პროცესების შედეგად ბუნებრივად წარმოქმნილი თავისუფალი რადიკალების მიმართ. თავისუფალი რადიკალების ჭარბობა რადიკალიზაციის საფრთხილო ფაქტორების დროს შეიძლება ორგანიზმის დაღუპვაც კი გამოიწვიოს.

„მთელს მსოფლიოში ჩატარებული გამოკვლევებმა აჩვენა, რომ უჯრედებზე ეუმელანინის დამცავი, მათი შემდგომი დასხივებისას, იწვევს უჯრედების დაზიანებას და უჯრედები უფრო სწრაფად მრავლდებიან, ხოლო ფომელანინის დამცავი, უჯრედების კოლონიებზე დასხივების წინ იწვევს მათ განადგურებას.“ – აცხადებს პროფესორი ჩიკვაძე. ფომელანინი ძირითადად ქალაქ თმასა და ისეთი ტიპის კანში შედის, რომელიც ეუმელანინის კანის გარუკავის დროს ვერ გამოიმუშავებს (IV-V კატეგორიის კანი, რომელიც წითლდება, მაგრამ არ ირუკება). მსგავსი ტიპის კანის მქონე ადამიანები უნდა მოერიდონ მშის დასხივებას და კანის დამცავი განსხვავებული საშუალებები უნდა იხმარონ. რადგან კანის ის დამცავი საშუალებები, რომლებიც გამოიყენება შავი, წაბლისფერი და ქერა თმის მქონე ადამიანების მიერ, ქალაქი თმის მქონეთათვის მიმანეწონილი არ არის.

ოსუ-ის მეცნიერების მიერ წარმოებული კვლევა უკვე დიდი ინტერესი გამოიწვია საზღვარგარეთ. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კვლევის შესახებ სამეცნიერო შრომა უცხოურ სამეცნიერო ქურნალში „International Cosmetic Sciences“ გამოქვეყნდა. შრომაში აღნიშნულია, რომ სხვადასხვა ტიპის კანისთვის შერჩეული ანტიოქსიდანტების ეფექტიანობა კანის სახის მიხედვით ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს.

ოსუ-ში ჩატარებული კვლევა განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა შოგლანდილებისთვის. როგორც სტატისტიკურად ცნობილია, პროცენტულად ძალზე ბევრი ქალი თმისა და ღია ფერის კანის ადამიანი სწორედ შოგლანდიელია და კანთან დაკავშირებული უკვე ხსენებული პრობლემები მათთან უფრო მაღალია.

როგორც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის მუსკ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიოსისტემების რადიოსპექტროსკოპიის ლაბორატორიაში წარმოებულმა გამოკვლევებმა ამ ეტაპზე აჩვენა, ფომელანინის თავისუფალ რადიკალებს ეფექტიანად ანადგურებს ასკორბინის მჟავა-ვიტამინი C. მისი მოქმედებისას ფომელანინის თავისუფალი რადიკალი ნეიტრალდება და ამ რიგად ვიტამინი C კანის დამცავი კრემებში, ეფექტიანი დანამატის სახით შეიძლება იქნეს გამოყენებული.

### ვიქტორინა მოსწავლეთათვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საბავშვო უნივერსიტეტი, მუსკ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი 2012 წლის 18 თებერვალს ატარებს მოსწავლეთა ვიქტორინას.

ვიქტორინა ტარდება ქ. თბილისისა და საქართველოს რეგიონების საჯარო და კერძო სკოლების X-XII კლასების მოსწავლეთათვის.

ვიქტორინა ტარდება გუნდური პრინციპით. თითოეული სკოლიდან მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ ერთ გუნდს, 6 მოსწავლის შემადგენლობით. თითოეულ გუნდს აქვს სახელი და ჰყავს კაპიტანი.

ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველებმა ვიქტორინამდე 2 კვირით ადრე (13 თებერვლი) უნდა წარმოადგინონ შევსებული განაცხადის ფორმა, დამოწმებული სკოლის დირექტორის ხელმოწერითა და ბეჭდით, თარიღის მითითებით. განაცხადის ფორმაში მითითებული უნდა იყოს სკოლა, გუნდის სახელწოდება, წევრები, პასუხისმგებელი პირი სკოლიდან (იხ. განაცხადის ფორმა).

დასაშვებია სკანირებული სახით დამოწმებული განაცხადის ფორმის გამოგზავნა ქვემოთ მითითებულ იმეილებზე.

გუნდიდან რომელიმე მოსწავლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში სკოლას უფლება აქვს ვიქტორინაში მონაწილეობა მიაღებინოს გუნდის სათადარიგო წევრებს. გადაწყვეტილება იღებს პასუხისმგებელი პირი სკოლიდან.

ვიქტორინაში მონაწილეობა უფასოა.

დეტალები ვიქტორინის მონაწილეობაზე, ვიქტორინის მიმდინარეობაზე, მოთხოვნებსა და აკრძალვებზე იხილეთ ოსუ-ს ვებ-გვერდზე: [www.tsu.edu.ge](http://www.tsu.edu.ge)



# მსოფლიოს ქვეყნების აუდიტორიები ტსუ-ში – ისრაელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სხვადასხვა ქვეყნების აუდიტორიებისგან "ისრაელის ცენტრი" თავისი პროფილით ოდნავ განსხვავებულია. სხვა კაბინეტების უმეტესობის მსგავსად იგი 2008 წელს შეიქმნა. თუმცა მანამდე ებრაული კულტურისა და იუდაიკის კაბინეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის ისტორიის და თეორიის მიმართულების კათედრაზე არსებობდა. 2008 წელს კაბინეტი საქართველოში ისრაელის საელჩოს მიერ განახლდა და დამოუკიდებელი ცენტრის სტატუსი მიიღო.



დღეს "ისრაელის ცენტრს" სამი ისტორიკოსი თანამშრომელი ჰყავს და ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი, პროფესორი, გურამ ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს. ცენტრის მიზანი, ებრაული კულტურის, გრადიციების, ისტორიის, ასევე ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის წარმოჩენაა. თუმცა,

აქცენტი ამ მხრივ, უფრო მეტად სამეცნიერო საქმიანობაზე კეთდება. ცენტრის ეგიდით სისტემატურად გამოიყვამ აკადემიური ხასიათის კრებული, რომელშიც ისრაელის კულტურის და ისტორიის საკითხები შექმნილია. გარდა ამისა, ცენტრი ხშირად იწვევს სხვადასხვა პრესტიჟული უცხოური სასწავლებლებიდან პროფესორებს, რომლებიც ისრაელის თემატიკაზე საჯარო ლექციებს კითხულობენ.

როგორც ცენტრის თანამშრომელი ნინო გიორგიანი აღნიშნავს, "ისრაელის ცენტრს" აქტიური კონტაქტი აქვს საქართველოში მცხოვრები ებრაული თემის წარმომადგენლებთან. სულ ცოცხალია წინა ცენტრმა "ებრაულ სახლში" არსებულ ახალგაზრდულ ცენტრთან ერთობლივ საინტერესო პროექტში მიიღო მონაწილეობა. 12 სტუდენტი მთელი საქართველოს მასშტაბით, ე.წ. ებრაული ადგილების შესახებ იძიებდა ინფორმაციას. შეკრებილი მასალა დღეისათვის უკვე ბროშურის სახით გამოიცა. თავის დროზე ცენტრი

ამერიკის ებრაელთა საერთაშორისო ორგანიზაცია "ჯოინტის" ძალისხმევით დაარსდა. გარდა ამისა, საგრძნობი ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება "ებრაული სააგენტო - ისრაელისთვის" ("სონხუთი") მხრიდან.

ბოლო პერიოდში ცენტრი აქტიურად დაინტერესდა პოლონეთის საკითხით. სულ ცოცხალია წინ ცენტრის წარმომადგენლები ამ თემაზე სწავლების დასამუშავებლად ისრაელსა და უნგრეთში იყენებენ, რის შემდეგაც ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების სტუდენტებისთვის შემუშავდა არჩევითი ხასიათის სილაბუსი.

ცენტრის მიერ სამომავლოდ განსახორციელებელ პროექტებში, ქართული ებრაელებთან დაკავშირებული მასალების მოძიება, სისტემატიზაციაა. მისი საშუალებით, შესაძლებელი იქნება როგორც კონკრეტული გამოცემის მომზადება, ისე სერიოზული საარქივო მასალის მომზადება, რომელიც დაინტერესებულ პირებს გამოაღებებათ.

## ბიოლოგიის მუზეუმი ტსუ-ში

### პირველი პერიოდი

როგორც თსუ-ის მუზეუმის მენეჯერმა მზია ჯავახიშვილმა გვიხსნა, მუზეუმს ხშირად სტუმრობენ არა მარტო თსუ-ის, არამედ სხვა სასწავლებლის სტუდენტები. ექსკურსიაზე მიდიან სკოლის მოსწავლეებიც, მაგრამ საზოგადოება ამ მუზეუმით უფრო მეტად უნდა ინტერესდებოდეს, რადგან იგი უნიკალურია. აქ დაცული ექსპონატების დიდი ნაწილი უკვე გადაშენებულია ან გადაშენების გზაზეა და მათი ნახვა სხვაგან, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ბიოლოგიის უნივერსიტეტში 1923 წელს დაარსდა. აქ დღემდე შემორჩენილია ის ექსპონატები, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს «კავკასიურ მუზეუმში» და «საქართველოს მუზეუმში» იყო დაცული. სწორედ ამ მუზეუმებმა გადასცა პირველი კოლექცია პირველ უმაღლეს სასწავლებელს ბიოლოგიის კათედრისთვის. ამის შემდეგ კი იგი სხვადასხვა წყაროებიდან შეივსო. სამუზეუმო ექსპონატებს ქმნიდნენ ნანადირევებისგან თუ ზოოპარკში დაცული ცხოველებისგან ქვეყნის საუკეთესო გაქსოლერმისტი. საუცხოო ნიმუშები ჩამოტვირთა მუზეუმისთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ ექსპედიციებში წასულ მეცნიერებს. საბჭოთა პერიოდში სამეცნიერო კატალოგებიდან იწერდნენ მუზეუმის თანამშრომლები მნიშვნელოვან ნიმუშებს და ა.შ. ერთი სიტყვით, ყველა ექსპონატს თავისი ისტორია აქვს.



თუმცა ცოცხალი ხანში გარდაიცვალა და ამის შემდეგ დაიღობა მისმა ფიგურამ უნივერსიტეტში. დამთავლებულს ბიოლოგიის უნივერსიტეტში ერთდროულად შეუძლია ნახოს სხვადასხვა სახეობის ჯიშის, ირმების, შვლების ფიგურები, რქები თუ ჩონჩხები. მზია ჯავახიშვილი ყველა მსურველს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას ნებისმიერ ცხოველზე, მათ თავისებურებასა თუ უნიკალურობაზე. მაგალითად, ბევრმა ალბათ არ იცის, რომ მთის არწივი ყოველთვის ორ კვერცხს დებს. მეორე მართვე პირველისგან მცირე ღრვის გასვლის შემდეგ იბადება და შედარებით სუსტია. პაგარა არწივები, რომ წამოიზრდებიან, უფროსი სუსტს ბუდიან აგდებს და კლავს. ამაში რჩეულ შვილს მშობლებიც ეხმარებიან. მთის არწივის სხვა ფრინველებისგან კიდევ ერთი უცნაურობა განასხვავებს. ნადირთა მუფის ეს სახეობა ადამიანს იმ დონეზე ვერ იგანს, რომ თუ მიახლოებულ კაცს დაინახავს, ბუდეს შეიღებ-

თან ერთად გოგებს და ამ ადგილს აღარასოდეს უბრუნდება. საინტერესო თავისებურებები ახასიათებთ ბუქობის არწივს, გველისმჭამელს, შევარდენს, მიმინოს, ფასკუნჯსა და სხვა უამრავ მტაცებელი თუ სხვა სახეობის ფრინველს, რომლებსაც ასევე ნახავთ ბიოლოგიის მუზეუმში. მათ შორის მსოფლიოში არის ყველაზე პაგარა ჩიგი კოლიბრი, რომელსაც საკუთარი სხეულის გემპერატურა არ გააჩნია და თავდაყირა სძინავს, როგორც ღამურას. აქვეა სრეგხი, რომელიც გადაშენების გზაზეა და დაახლოებით 1000-მდე დარჩენილი. ფრინველთა კოლექციის მშვენიერება მანილის ღოღოჩაა. ფიგურა დავით სარაჯიშვილის კოლექციიდან მოხვდა უნივერსიტეტში. ეს უღამბესი ფრინველი ქალაქ მანილის სიმბოლოა და მას ტიპეში 2000 მეგრის სიმბოლოზე შეხვდებით. ზოოლოგიის სიმბოლოა ენტომოლოგიური კოლექცია, სადაც მწერიც დაცული. მათ შორის მსო-

ფლიოში ყველაზე დიდი და ყველაზე პარაგა პეპელაა. აქ ნახავთ აგაკუს აგლასს, რომელიც ფრთების დიამეტრი 260 მმ-ა, ხოლო ყველაზე მცირე ცისფრული 20 მმ. მსოფლიო და ქართული პეპლების გვერდით არის იაპონიის სიმბოლოს სასკია ხარონდე. იაპონელთა ყველა ზეიმი, სწორედ ამ პეპელის სახეობის ცეკვით იხსნება. იქაურებს სჯერათ, რომ ეს უნაზესი მწერი ქალის ბედნიერებას და ოჯახის სიმყდროვეს განასახიერებს.

უამრავ ექსპონატთა შორის არის ცისფერი ვეშაპის უღვამი, ვეფხვისებრი პითონის, პალაპაგოსის კუს, რომელიც წითელ წიგნშია შეგანილი, ნილოსის და ამბონური ნიანგების, ღამურა-მფრინავი მელის, სამხრეთ ამერიკული ჯავშნოსანის, ავსტრალიური იხენისკარგას და სხვა იშვიათი და ეგზოტიკური არსებების ფიგურები. შთამბეჭდავი სხვადასხვა ფრინველთა კვერცხების კოლექცია, რომელშიც 1412 ეგზემპლარია და მარჯნის პოლიპები ინდოეთისა და წყნარი ოკეანიდან. ეს მუზეუმის უკანასკნელი შენაძენია.

გოცნებს იწვევს ის ანომალური ცხოველები, რომლებიც მუზეუმშია დაცული. ეს არის ორთავიანი ცხვარი, რომელიც 1947 წელს ლუშეთში დაიბადა და თვალსაჩინოების მიმნი მისგან ფიგურა გააკეთეს. ხოლო მინის ქილაში, სველ პრეპარატებშია მოთავსებული გენეტიკური დარღვევის შედეგად ერთმანეთზე შემრდილი ცხვრები და ოთხფეხა წიწია.

ზოოლოგიით დაინტერესებულები თუ უბრალოდ მოყვარულები უნივერსიტეტის მუზეუმში ნახავენ ლომების, კენგურუს, აფთრების, კატების თუ კურდღლების ჩონჩხებს, ბუქმტოგის თავის ქალასაც კი. მინის ქილაში ინახება პარამიტი ჭიების, უხერხემლო ცხოველების, ამფიბიების და ქვეწარმავლების ნიმუშები. მათ შორის შეგიძლიათ დააკვირდეთ ცხოველთა სისხლის მიმოქცევის, საჭმლის მომწეველი და ნერვული სისტემის ნიმუშებს. ნახავთ ქვეწარმავლების, ხერხემლიანი ცხოველების და ადამიანის ემბრიონის განვითარების სტადიებსაც კი.

ერთი სიტყვით, თსუ-ის ბიოლოგიის მუზეუმი მრავალ საინტერესო სურპრიზს გთავაზობთ. მართალია, დღეს სტუდენტები და მოსწავლეებიც ამკობინებენ მათთვის საჭირო ინფორმაცია კომპიუტერის მეშვეობით მოიპოვონ, მაგრამ ვიზუალური ეფექტი კვლავ შეუცვლია რჩება. ამიტომაც უკავია მთელს მსოფლიოში მუზეუმებს ყველაზე პრესტიჟული და მნიშვნელოვანი ფუნქცია.

## ტსუ-ის პროფესორები და სტუდენტები საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეპერალური ლაბორატორიის კვლევებში ჩაერთავენ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალურ რეფერალურ ლაბორატორიას შორის გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს ბიოსაფრთხობისა და ბიოლოგიურ კვლევებში სანდო სამეცნიერო პარტნიორობის განვითარება. აგრეთვე, საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო სისტემის შექმნა. მემორანდუმს ხელი მოეწერა ტსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიციანიძემ და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრალური რეფერალური ლაბორატორიის დირექტორმა ანა კვანიამ მოაწერეს.

ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეები მოამზადებენ და განავითარებენ წინადადებებს კვლევებსა და სასწავლო პროგრამებზე, მოახდენენ ინტელექტუალური, ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მომზადებას და ერთობლივად იმუშავენ დონორებთან წარსაღვერ ერთობლივ პროექტებზე.

ტსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიციანიძის განცხადებით: "პროექტი ძალიან საინტერესოა და იგი ხელს შეუწყობს მეცნიერების განვითარებასა და სამეცნიერო საქმიანობის გაფართოებას. რეფერალური ლაბორატორია საერთაშორისო სტანდარტების უმაღლეს დონის ლაბორატორიაა, რომელსაც უნივერსიტეტი სასწავლო პროცესის უკეთ წარმართისთვის გამოიყენებს. თსუ-ის პროფესორები და სტუდენტები აქტიურად ჩაერთავენ სამეცნიერო კვლევებში, რაც ნებისმიერი სასწავლო დაწესებულებისთვის აუცილებელია. პროექტი მნიშვნელოვანი იქნება არა მხოლოდ უნივერსიტეტისთვის, არამედ მთელი ქვეყნისთვის. ეს არის უნიკალური ლაბორატორია, რომელსაც მსოფლიოში ცოცხალია დღეს".

ლაბორატორიის დირექტორმა ანა კვანიამ აღნიშნა, რომ: "ლაბორატორია საერთაშორისო სტანდარტების ხელსაწყოებითაა აღჭურვილი და რეგიონისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. აქ წარმოებს ბევრი ისეთი კვლევა, რომელიც ვერ ხერხდება ჩვენი რეგიონის სხვა ქვეყნებში. ასეთი სამუშაოები აუცილებლად წარმატებას მოუტანს საქართველოს".

თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ლაბორატორია იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ კვლევის სფერო არ შემოიღუბოს. აქ ჩატარდება როგორც ბიოლოგიური, ასევე ფიზიკური და ქიმიური კვლევები.

### სტაბილთა კონკურსი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი აცხადებს სტაბილთა კონკურსს: მიგრაციის მართვის თანამედროვე სამართლებრივი მექანიზმები. სტაბილთის თემატიკა უნდა მოიცავდეს სამართლებრივ ანალიზს შემდეგი საკითხების გარშემო:

- 1) მიგრაცია და განვითარება;
- 2) ცირკულარული მიგრაცია;
- 3) საფიზი პოლიტიკა;
- 4) სამღვრის მართვა;
- 5) მიგრაციის პოლიტიკა და ადამიანის უფლებები;
- 6) მიგრაცია და სახელმწიფო უსაფრთხოება;
- 7) იძულებითი მიგრაცია და თავმუსაფრის პოლიტიკა

სტაბილთის მოცულობა: 10-დან 25-მდე გვერდი და მატარებელი ინფორმაციისთვის

დეკლარაცია კონკურსის შესახებ იხილეთ თსუ-ს ვებ-გვერდზე: [www.tsu.edu.ge](http://www.tsu.edu.ge)





# ქართლის მოსახლეობის ეთნიკური მინაობის საკითხები



## პირველი გვერდიანი

მიგრაციული პროცესები, კვლავწარმოებისა და მისი დინამიკის საკითხები. გაანალიზებულია შობადობის, მოკვდაობის, ბუნებრივი მაგების სფეროში არსებული ვითარება და გენდერული ცვლილებები. სტატისტიკური მასალის ანალიზი მოიცავს 1990-2008 წლების პერიოდს.

წარმოებული კვლევის წვერების მეცნიერულ მიზანს ქართველების უძველესი და თანამედროვე მოსახლეობის შორის გენეტიკური კავშირის მორფოლოგიური არგუმენტების მოძიება და გამყარება წარმოადგენდა. ძვ.წ. IV ათასწლეულის ბოლო და III ათასწლეულის პირველი ნახევრის მოსახლეობის კრანოლოგიური კვლევებით დასტურდება, რომ მტკვარ-არაქსის კულტურის მაგარებული გომები გამოირჩევიან თავის ქალის ძალიან დიდი და დიდი გრძივი დაიამყარებით განივი დაიამყარების ძალიან ვიწრო, ვიწრო და საშუალო ფორმებით, მაღალი ქალის სიმაღლით, ვიწრო და საშუალო სიგანის სახით, ვიწრო ცხვირით, ორთოგნაგული სახის ვერტიკალური პროფილით. დახასიათებიდან ჩანს, რომ ამ რეგიონის მოსახლეობა პოლიმორფული იყო. მოსახლეობის ანთროპოლოგიურმა გიპმა განიცადა ცვალებადობა დროში, რაც გამოიხატა თავის გრძივი დაიამყარების შემცირების, ხოლო განივი დაიამყარების სიგანის მაგებაში. თავის ქალის ფორმა დოლიქოკრანულიდან (გრძელი თავი) ბრაქიკრანული გახდა. ამავე დროს, მნიშვნელოვნად გაიზარდა სახის სიგანე. მიუხედავად ასეთი ცვლილებებისა სახე დარჩა პროფილირებული, როგორც ვერტიკალურ, ისე პორიზონტალურ სიბრტყეში, ცხვირი მკვეთრად წინ წაშიდული მაღალი უნაგირით. ყოველივე ეს, მკვლევართა აზრით, მოსახლეობის მემკვიდრეობითობაზე მეტყველებს.

ღია ბითაძის განმარტებით, გენეტიკურად ლეგენდირებულ დის-კრეტულად – ვარიანტული ნიშნების შესწავლის საფუძველზე დადგენილია მოსახლეობის უწყვეტობა გამოხატული ძირითადი ნიშნების სახით. ხოლო ნიშნითა კომპლექსის კონცენტრაციის ცვლა დროში ეპოქალური გრანსფორმაციის გამოხატულება მოვლენად მიგვაჩნია. ანთროპოლოგიური მინაობის გავრცელება უძველეს პრინჯაოს ხანისა და თანამედროვე მოსახლეობაში პირდაპირ კავშირშია ამ მოსახლეობის გენეტიკური მემკვიდრეობისა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველების ლოკალური გიპები (კოლხური, იბერიული, კავკასიონის) დიფერენცირებისას ნაკლებად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამას ხელს უწყობდა შიდა ქორწინებითი მიგრაციები. გარდა ამისა, ის ძველი საერთო სუბსტრატული ნათლად იმეც თავს არა მარტო ქართველების, არამედ კავკასიის აბორიგენი მოსახლეობის დამახასიათებელ „კავკასიურ“ იერშიც. მხოლოდ ამიგომ, კავკასიელები ვაცილებით უფრო ნაკლებ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე სხვა სამხრეთეთეროპეიდული რასის განმგებების წარმომადგენლები.

კანის რელიეფის ნიშნების განაწილებამ და მათ საფუძველზე გამოთვლილმა მსგავსების კოეფიციენტებმა აჩვენეს ძალიან მაღალი მსგავსება არა მხოლოდ ქართველებს არამედ კავკასიის აბორიგენ მოსახლეობას შორისაც, რაც ამ სისგემას უპირატესობას ანიჭებს ძველი კავშირების გამოვლენისას. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის მოსახლეობაში გამოყოფილია რამდენიმე მეგნაკლებად განსხვავებული ანთროპოლოგიური გიპი, ანთროპოლოგიური თვალსაზრისით კავკასიის ერთობის სურათი თვალნათელია.

ამრიგად, ისტორიული, ანთროპოლოგიური, პალინოლოგიური და დემოგრაფიული მასალების კვლევის შედეგად მოსახლეობის ეთნიკური ვინაობის ჭრილში ნაშრომში განხილულია ფიზიკური გიპის ცვალებადობა, საცხოვრებლის ეკოლოგიური გარემო, თანამედროვე მიგრაციული პროცესების თავისებურება, არქეოლოგიური, ენობრივი, ასევე წერილობითი წყაროებზე დაყრდნობით წარმოებულია უძველესი მოსახლეობის ისტორიულ-ეთნოლოგიური კვლევა.

# თეატრი „სხვენი“

თსუ-ის თეატრალური დასი „სხვენი“ პრემიერისთვის ემზადება, რომელიც განახლებულ პირველ კორპუსში შედგება. პრემიერისთვის ამზადებენ სპექტაკლს „განკითხვის დღე“, რომელიც დაიდგება გიორგი კაჭარავას რომანის მიხედვით. ამ სპექტაკლზე მუშაობა თვითონ სტუდენტებმა მოსსურვეს. მათ წაიკითხეს რომანი, მოეწონათ და შესთავაზეს რეჟისორს გიორგი გომურაშვილს, რომ რომანი გაეცოცხლებინათ სცენაზე.

რეჟისორმა გვიხარა, რომ მას ეს რომანი მანამდე არ ჰქონდა წაკითხული. მან წაიკითხა და მიხვდა, რომ საკმაოდ რთული იყო ამ ყველაფრის სცენაზე გადმოტანა, თუმცა იგი ყოველთვის მზადაა გაითვალისწინოს ახალგაზრდა მსახიობთა აზრი და სურვილი.

სტუდენტური თეატრი „სხვენი“ 2000 წლის 15 სექტემბერს შეიქმნა რეჟისორების – გიორგი გომურაშვილის, მამუკა გურნიანისა და სამხატვრო ხელმძღვანელის – თენგიზ ყურაშვილის ინიციატივით. „სხვენის“ შემადგენლობა სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული და ეს დასის ერთ-ერთი აუცილებელი მოთხოვნაცაა. თუმცა დღეს არის რამდენიმე პროფესიონალი მსახიობი, რომლებიც უახგაროდ და უსასყიდლოდ ეხმარება დასს (ირაკლი სანაია, ვაგო ევანია და სხვა). მაგრამ სტუდენტებისგან შექმნილ დასს ერთი მინუსი ყოველთვის ახლავს, ხელმძღვანელობას ყოველ წელს ახალი ხალხის შერჩევა უწევს, რადგან ეს დასი, როგორც რეჟისორი ამბობს „მოძრავია“: ზოგი ამთავრებს და მიდის; ზოგი ვერ ახერხებს უამრავი მიზეზის გამო; ზოგსაც პერმანენტული ყველაფერი და მიდის. ამიგომ დასში სულ ძიების პროცესია. დღეს „სხვენის“ შემადგენლობაში 25 ძირითადი მსახიობია. გიორგი გომურაშვილი ცდილობს, რომ ყველა მსახიობი დააკავოს როლზე. მათ რეჟისორია ყოველდღე აქვთ. რეჟისორია ორი ნაწილისაგან შედგება: პლასტიკისაგან და უშუალოდ სპექტაკლზე მუშაობისგან. თავდაპირველად „სხვენი“ პლასტიკის თეატრი იყო, დღეს კი დრამატულ ელემენტს მუშაობენ.



თუმცა, როგორც რეჟისორი აღნიშნავს, მის ყოველ სპექტაკლს პანგომიმის გავლენა ეცემა, რაც მეტ ორიგინალურობას სძენს. თსუ პლასტიკის თეატრის სარეჟისორო დარბაზი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სააქტო დარბაზის სხვენი იყო. სახელწოდებაც ადგილმდებარეობის მიხედვით შეირჩა.

„სხვენის“ პირველი სპექტაკლი იყო ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“, რომელიც პანგომიმის ელემენტს დაიღვრა და რომლის რეჟისორიც იყო გიორგი გომურაშვილი. ამას მოჰყვა ნოველებზე აგებული „ბალაგანი“ (2002 წ.) და „მხიარული ნოველები“ (2003 წ.), დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“ (2004 წ.), „შეიდი იუმორესკა“ (2005 წ.). აღსანიშნავია ის რომ „სამანიშვილის დედინაცვალი“ თეატრის ისტორიაში პირველად პანგომიმის ელემენტს სწორედ „სხვენი“ დაიღვრა, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

დრამატულ ელემენტს პირველი სპექტაკლი იყო „ჭრილობა“, რომელიც ლაშა თაბუკაშვილის პიესის მიხედვით დაიდგა 2008 წელს. თეატრი აქტიურ მონაწილეობას იღებს ყველა საუნივერსიტეტო ღონისძიებაში. დრამატული ელემენტის სპექტაკლები იყო ასევე სენტიმენტალური „პაგარა უფლისწული“, „კლოუნადა“, რომელიც თავისუფალი თეატრის სცენაზე წარმატებით შეხსრულეს, დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“, რომელშიც რეჟისორის ახლებური და ინდივიდუალური ხედვა იგრძობოდა. (რეჟისორი – გიორგი გომურაშვილი).



# თსუ-ის გუნდი ფუტსალის ჩემპიონია



2011 წლის 17 დეკემბერს გაიმართა თბილისის ღია ჩემპიონატის ფინალური შეხვედრა ფუტსალში (Friendly Cup), სადაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა საქართველოს ჩემპიონის და ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის „ბერია სტარის“ წინააღმდეგ შესანიშნავად იასპარეზა და გუნდის ჩემპიონი გახდა.

ფუტსალის გუნდი 2006 წლიდან ჩამოყალიბდა თსუ-ში, რომლის ინიციატორები იყვნენ თსუ-ის თვითმართველობის პრეზიდენტი გიორგი ავალიანი, ირაკლი ხარჯავანიძე და გიორგი შამთია. საქართველოს ფუტსალის ნაკრები ძირითადად დაკომპლექტებულია თსუ-ის ფეხბურთის გუნდის მოთამაშეთაგან, ესენი არიან: ლევან კობახიძე, დავით ბობოხიძე, დავით ლუკავა, ლაშა სიგუნავა, შოთა ჭანუკვაძე, მურთაზ კაკაბაძე, თეიმურაზ ჯაფარიძე, დავით ბობოხიძე საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანია, კახა მასისაძე ეროვნული ნაკრების ლიდერებს იცავს, რომელიც თსუ-ის სტუდენტია და იგი ამჟამად ამერბაიჯანის ერთ-ერთ გუნდში

თამაშობს. გუნდის მწვრთნელია ბესარიონ არველაძე. გუნდს წარმატებები უხვად აქვს: 2010-2011 წლებში საქართველოს ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავეს და თასის ფინალში გავიდნენ. 2010 და 2011 წლებში თურქეთში (ყარსში) ჩაგარდა საერთაშორისო გუნდის ფუტსალში თსუ-ის ფუტსალის გუნდმა ორივეჯერ პირველი ადგილი აიღო. 2011 წელს გაიმართა უნივერსიადა ფუტსალში, სადაც თსუ-ის ახალად დაკომპლექტებულმა გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა. უნივერსიტეტის გუნდში, რომელიც ასევე 2011 წელს გაიმართა პირველი ადგილი აიღო თსუ-ის გუნდმა და ამავე გათამაშების თასიც მოიგო.

2011 წლის დეკემბერში გაიმართა შავა ბენდელიანის სახელობის „ბენდელას“ გათამაშება, სადაც გამოდიოდნენ საქართველოს ეროვნული ნაკრების და საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მოთამაშეები. გუნდში მონაწილეობას იღებდა 6 გუნდი და თსუ-ის გუნდმა დაიკავა პირველი ადგილი, ფინალში სეუ-ის გუნდთან გაიმარჯვა 3:2.